თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1991481

ნომერი: AR1322656

თარიღი : 29.06.2015

გაცემის თარიღი : 06.07.2015

გაცნობის თარიღი : 15.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბეჟან ბერეკაშვილი პ/ნ 01024064658
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1322656 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. #35–ში (საკ. კოდი №01.10.14.017.021) მშენებლობას და ითხოვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოებაში მხარედ ჩართულობას.

პასუხად გაცნობებთ რომ სამსახურის 2014 წლის 25 სექტემბრის #1505084 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ცაგარელის ქ. #35–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.14.017.021) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1246481; განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.

ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
სამსახურის მიერ 2014 წლის 25 სექტემბრის (№1505084 ბრძანება) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, ზემოაღნიშნულ მისამართზე (თქვენს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge